საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/01/2026

MES 5 26 0000047182

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა"

ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების" 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 ოქტომბრის №1398463 ბრძანების (ბრძანებაში ცვლილება№1526517, 31/10/2025) საფუძველზე განხორციელდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების", "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" საბაკალავრო, "აგრარული ტექნოლოგიების", "მეცხოველეობის", "სამკურნალო მცენარეებისა და მათი წარმოების" სამაგისტრო, "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 2.2 კომპონენტში მოხსნა შემდეგი რეკომენდაცია:

"რეკომენდებულია, სტაჟირების/პრაქტიკის ობიექტების შერჩევის მიზნით, შემუშავდეს და ჩატარდეს ტენდერები."

აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვეია კომპონენტის და მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 4.3. კომპონენტში დააკორექტირა კლასტერული რეკომენდაცია და გადაიტანა რჩევაში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

"სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს, მხარი დაუჭიროს და აკადემიურ პერსონალს მოსთხოვოს სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში

გამოქვეყნება, ასევე მოწვეული პერსონალისთვის დააწესოს მკაცრი მოთხოვნები მაღალი დონის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში კვლევების მონაცემების შესახებ."
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
გ) აკრედიტაციის საბჭომ 4.5. კომპონენტში მოხსნა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია:
"რეკომენდებულია, კლასტერში წარმოდგენილი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს პროგრამის განვითარების გეგმა, რომელიც იქნება ბიუჯეტი დანართი. აღნიშნულ გეგმაში დაკონკრეტებული უნდა იყოს განვითარების კონკრეტული ქმედებები, განხორციელების ვადები და დეტალური, აქტივობებზე დაფუძნებული ბიუჯეტი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულება, სტრატეგიული შესაბამისობა და გრძელვადიანი მდგრადობა."
შედეგად, 4.5 კომპონენტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რამაც გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ის ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
დ) აკრედიტაციის საბჭომ 5.1 კომპონენტში მოხსნა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია:
"რეკომენდებულია, თვითშეფასების პროცესში გამოვლენილ იქნეს გასაუმჯობესებელი სფეროები, რაც წარმოადგენს PDCA ციკლის საფუძველს და უზრუნველყოფს პროგრამების მუდმივ განვითარებას".
და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ე) აკრედიტაციის საბჭომ 5.2 კომპონენტში მოხსნა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია:
"რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სიღრმისეული და ხარისხიანი გარე კოლეგიალური შეფასება, რაც იძლევა პროგრამის განვითარების საშუალებას."
შედეგად, 5.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რამაც გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ის ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 30 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა"აგრარული ტექნოლოგიების", "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" საბაკალავრო, "აგრარული ტექნოლოგიების",

"მეცხოველეობის", "სამკურნალო მცენარეებისა და მათი წარმოების" სამაგისტრო, "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2) შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის სხდომის №46590 ოქმის № 07 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების სფეროები. 2.1
- რეკომენდებულია, სტაჟირების/პრაქტიკის ობიექტების შერჩევის მიზნით, შემუშავდეს და ჩატარდეს ტენდერები. 2.2
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სავალდებულო ფორმით ჩაატაროს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული სასწავლო სემინარები, ასევე ნებისმიერი სხვა საჭიროების მიხედვით შერჩეული ტრენინგი, როგორიცაა: სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ინტერაქტიული სწავლების მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო კონტექსტში / ინტერაქტიული სწავლების მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, ციფრულ ეპოქაში სტუდენტთა მოტივაციის გაძლიერების გზები. 2.3
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და განახორციელოს სავალდებულო სტრუქტურირებული ტრენინგები ან სემინარები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, მათ მნიშვნელობაზე და გამოყენებაზე. 3.1
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის შესახებ. 3.1
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ცნობიერება უნივერსიტეტში დადგენილი აკადემიური სტილის შესახებ, რაც გააუმჯობესებს მათ მიერ შესრულებული ნაშრომების ხარისხს. 3.1
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს და დააკორექტიროს ყველა დოკუმენტი, იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს, რამდენი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და მოწვეული პერსონალი ახორციელებს პროგრამას და რამდენი მათგანია აფილირებული აკადემიური პერსონალი. 4.1

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 30 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 30 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 241მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

Not signed

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

Not signed

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული, 68, 15/09/2015
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მემცენარეობა და მეცხოველობა 0811
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი 11, დავით გურამიშვილის გამზ N17, ქ. თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 30 დეკემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 2026 წლის 30 დეკემბერი

18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 30 დეკემბერი